წელიწადი მეორე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

თეთრიგიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა ხსვა
ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვაათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მოძმავალი
სალხს...—

ილია.

№ 9
დეკემბერი 1927
პარიზი

ქართველ პატრიოტთა ორგანო «თეთრი გიორგი»

Journal de l'organisation des Patriotes Georgiens. «THETHRI-GUIORGUI»

Prix : 2 fr.
№ 9
Décembre 1927
PARIS

1907 მგსრულდა ოცი წელი, რაც ვერაგულად მოკლულ იქმნა ერის ბურჯი — ილია ჭავჭავაძე. 1927

***

საკვირველი პარადოქსია რუსული ემიგრანტული პრესა დაწყებული ძველარქისტებიდან, გათავებული სოციალისტებამდე. თუ ამ პრესამ დაიწყო ჭერა ერთიან, განუყოფელ, დიდ რუსეთზე,— მაშასადამე საეულისხმოა, რომ ძველი კრემლის ბიგნით რაღაც სახიფათო რამ ხდება და ბატონნი რუსის ემიგრანტები, ემზადებიან რა ძალე დაბრუნებას თავიანთ სახლში, ოცნებობენ იმაზე, თუ როგორ გასრესენ ყველა იმ ხალხთა ერთნულ ძოძრაოებას, რომლებიც ცხოვრობდნენ ყოფილ რუსეთის იმპერიაში.

იმ წუთშივე, როცა ინგლისმა შესწყვიტა კავშირი ძველთან მილიუკოვმა დაუწყო უკრაინას ტყვეით მუქარა, იაკლო ნოვსკიმ კი გაზეთ «ვოზროჟდენიეში» გამოსთქვა თავის გულში ნადები აზრი, რომ მათ მოუხდებათ ხელახლა კავკასიის ომით დაპყრობა.

ეხლა რუსეთში გამწვავდა ძდგომარეობა ძთავრობის და ოპოზიციონერების შორის და ძალაზეეს გამოებათ სურსათ სანოვაგის ძთ ხოვნელთა რიგში ჩამწკრივებულთა კუდმეი და აქ, რუსულმა პრესამ, როგორც კარგმა დაგემილმა ბემეგარმა დაიწყო ყნოსვა; როგორც ოდესღაც ნიკოლოზ მეორემ უთხრა ტვერის აზნაურობას მათ მოთხოვნილებაზე: „უაზრო ოცნებაა", ასევე ეს პრესა დღეს თითქმის ასეთივე ტონით ეუბნება რუსეთის ყველა ყოფილ ერებს: „ნუ ოცნებოთ დამოუკიდებლობაზედ".

საბრალო ხალხი, რომ აქამდე ვერაფერი ისწავლა და ვერაფერს ხედავს. ვსთქვათ, „ვოზროჟდენიოდან" მეტს არ უნდა ველოდეთ, მაგრამ პროფესორ მილიუკოვისაგან კი შეიძლებოდა სულ სხვა რამის და უფრო მეტის მოთხოვნა, მან უწოდა თავის თავს რესპუბლიკანელი დემოკრატი.

ბ. პროფესორო, დაუსვით თქვენს თავს კითხვა და გაეცით თქვენს კითხვასვე პასუხი: დემოკრატიულია თუ არა დემოკრატისათვის ხალხზე ძალადობის ოცნებობა? დემოკრატიულია ის რომ თქვენი დიდი ჩექმით სჭყლეტოთ გრეოენული «მე» ხალხისა, რომელსაც ხურს ცხოვრება თავის საკუთარ სახლში და არა თქვენს მინაშენში?

დემოკრატიულია, თანამედროვეა მოსაზვიოთ მთელ ერს თქვენი ნება-სურვილი, თქვენი ხასიათი და თქვენი კანონები? რასაკვირველია ამ კითხვებს არ დავუსვამდით გუშინდელ მილიუკოვს, რომელიც მზად იყო ეკოცნა, ემთხვია მის „იმპერატორებითი უდიდებულესობის" ნატერფალს, მაგრამ დღეს როცა იგი რესპუბლიკანელი დემოკრატია დასაშვებია კითხოთ: რამდენი კორპუსი ჯარი გაიმეტეთ საერთოთ კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს დაპყრობისათვის?

საერთოდ რუსეთის ემიგრანტების განხრახვა—სურვილების განხილვას ოდესმე დაუბრუნდებით —ეხლა კი ჩვენი სუბვილია გადავხედოთ გაზ. «პოსლედნია ნოვოსტის» ერთ—ერთ მოწინავეს « VERY DANGEROUS ». ავტორი, ეკამათება რა ბ. ვ. ჩერნოვს, ხელახლად იცხონის ყორდანია-რამიშვილის ჩავარდნილ წერილების შინაარსს და თავის საკუთებს აშენებს იმაზე, რომ საქართველოში არ არის ხალხი გარდა ყორდანია რამიშვილისა. ესე იგი სოც. დემოკრატების მეტი. არა, საქართველოში არის ქართველი ერი და ყორდანია, რამიშვილი და მათი ამხანაგები მხოლოდ დროებითი მოვლენანი იყვნენ.

ბ. მილიუკოვი ემებს საერთოს საქართველოს და რუსეთს შორის, ეყრდნობა რა ვითომც საერთო ისტორიას. დაიხსომეთ ერთხელ და სამუდამოთ ბ-ნნო რუსეთის, მიწის შემკრებელნო, რომ არც საერთო ისტორიით და არც ისტორიული მხვლელობით საქართველოს რუსეთთან არავითარი საერთო არ ჰქონია და არცა აქვს. ამიტომ ნუ თამამობთ სიტყვებით და ნუ იქცევთ თავს თანამედროვე დემოკრატებით. სთქვით პირდაპირ, როგორც იაკლინოვსკიმ: «დაგვმთანხმეთ იყოთ ისევ ჩვენი პროვინცია, თორემ სულერთია ჩვენ დაგიპყრობთ: ბევრნი ვართ, ბევრნი!..»—

ამაზე თქვენ მიიღებთ ქართულ პასუხს: — ადვილი იყო ბოლშევიკებისათვის მენშევიკური საქართველოს აღება, მაგრამ ძნელი იქნება ქართული საქართველოს აღება; ჩვენ ცოტანი ვართ, მეტად ცოტანი, მაგრამ საქართველოში თქვენ გაბატონდებით მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში აღარ დარჩება ქართველი ხალხი.—

თვით სოც. რევოლუციონერების პარტიაც ემხრობა მილიუკოვ— იაბლონოვსკის და კომპანიას ერთნულ საკითხში. თავის პარტიულ ჟურნალში სწერს:

«სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტია ყოველთვის ცხოველ თანაგრძნობით ეპყრობოდა და კვლავ ეპყრობა ყველა დაჩაგრულ ერების ისტორიულ გამოფხიზლებას. მისი პროგრამა სცნობს ,რომ ყველა ერს აქვს უფლება თავის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ჩვენ იძულებული ვნდა გავხდეთ ყველა ერმა იხმაროს ეს უფლება. რევოლიუციონერების პარტია არ სთვლის პრინციპათ რომ ყოველი ერი იყოს თავისუფალი.»—

ვინ გაარჩევს თუ რა სურს ამ პარტიას? ერთის მხრივ მოძმრება ყველა ერის თავისუფლებისა, მეორეს მხრივ კი წინააღმდეგია. მიზანშეწონილი იქნებოდა ყოფილიყავით ისევ ბულანდილი როგორც მილიუკოვი და იაბლონოვსკი. სხვაფრივ კი სოც. რევოლიუციონერების პარტია მოგვაგონებს იმ ქალს, რომელმაც ქალწულობაც დაიცვა და ფულიც მეიძინა. ისევ ეს ჟურნალი, როდესაც საქართველოზე ლაპარაკობს მისთვის საქართველო, მხოლოდ ყორდანია-რამიშვილის სახით გამოიხატება. როდესაც სოც. რევოლ. ჟურნალმა გაიცნო ჩავარდნილი წერილი ბ. ბ. ყორდანია-რამიშვილისა აღმოფოთდნენ და ეხლა სწერენ; არამც თუ მარტო ჩვენ, თვით ქართველი სოციალისტებიც იყვნენ ოდესღაც დარწმუნებული მასში, რომ ვიცხოვრებდით ერთ ჭერ ქვეშ. საქართველოს სოც. დემ. იყვნენ ცენტრალისტები. ფედერაციის მომხრე სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიის საწინააღმდეგოთ.

ჟურნალი სოციალისტ რევოლიუციონერი თავის თავს ანუგეშებს და სწერს: «ინტერნაციონალში წარმოადგენენ ერის გ ი. წ ე ბ ი ს ფ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ყ ო რ დ ა ნ ი ა - რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა, და ვიხურვოთ რომ ირაკლი ჭერეთლის შეხვედულებას მიემხროს მეტი ნაწილი ქართველ სოც. დემოკრატიისა». ჩვენ, ქართველები, არასდროს არ ვეჭვობდით რომ ქართველ სოციალისტებს სურთ ერთიანი ჭერი რუსეთთან.—

ჩვენ არასოდეს არ გვინუგეშებია ჩვენი თავი იმ აზრით, რომ ქართველი მენშევიკები დაკმაყოფილდებიან მარტო საქართველოს ტერიტორიით.—

რატომ? იმიტომ რომ მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ა რ ი ა ნ გ ა ძ ო ე ბ ი ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი. ეს ასევე და მათი დაკმაყოფილება მარტო საქართველოთი არ მეიძლება. ჩვენ ყველაფერი ეს ვიცით და ეგეგნებით თქვენ, რუსებს, დაწყებული ძველარქის ტებიდან, გათავებული სოციალისტებამდე:

ვერ ეღირსებით საქართველოს თქვენ პროვინციათ გადაქცევას, ეს თუ ოცნება იქნება მხოლოდ საქართველო უქართველოთ.

ბევრთ წოდებულ ქართველ სოციალისტებს ვეუბნებით: თქვენ ბოდვას ძალე ექნება დასასრული.

თქვენ ყველანი იკისავთ ვინ იქმს ამას?—

ბიბასუხებთ: ის ქართველება რომლებიც ხენობენ მარტო ქართველი ხალხის ნება სურვილს, რომელნიც თვით ოცხმეენიან ოცკაშირებებსაც და ბეგრ რესაც.

ის ქართველები, რომლებმაც მეჩფიცეს ან ისარგენ ქართველი ერის სისარულით, ან ოცკვდნენ ქართველი ერისათვის.

ხალხი ამ ქართველების—თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი.

«ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენ ნადგვ გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალაი ქალობდიბ.»
(ვლადიკავკასიდან თფილისამდე) — ილია —

ილია ჭავჭავაძე.
1837 — 1907

***

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენი ისტორიის ფურცლებზე გადმოიქცა სისხლი დიდებულ მამულიშვილისა: — მოკლულ იქმნა ი ლ ი ა.

გული, მხურვალე გრძნობებით მჩქეფარე, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მამულის აყვავებას უგალობდა, გული ქვეყნის ტკივილით შეპყრობილი — ცხელი ტყვიის მსხვერპლი გახდა და შუაღლი ამ ბუმბერაზ ქართველისა - ეს ერთნული ფარი, რომლის უკან დარაზმული იყო მე 19-ტე საუკუნის უმაღლესი, უმახვილესი და უსეტაკესი ფიქრნი,— თოფის კოდალით იქმნა ჩაღლეწილი.

ვინ იყო მკვლელი?

ჩვენი სოფლების საყდრის გალავანს ახ წლოვანი მუსეი ამშვენებენ. მათი ცად ამართული და ფართედ გადაშლილი ტოტები თავიანთ ჩრდილ ქვეშ ინახავს მლოცველთ. ხალხი შეჯეუფდება ხის ქვეშ და მუსაიფობს სოფლის ჭირ-ვარამზე. ჩამოჯდება მაგარ ფეხვებზე მეფანდურე, ჩამოჭრავს ფანდურს და ნელის ხმით, ვით ილიას ბრმა მეფანდურე, დაიღიღინებს:

«მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გმტყვით გულის გასათბობა»...

სიცხე-პაპანაქებაში, მზის მწვავე სხივებისაგან შეფარებს თავს მეზავრი მუხის ხეზე ფოთლებს და ავდარში წვიმისაგან. და, ერთ ბნელ ღამით, სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიჟი, რომ მოადგეს მუხას ცულით და ალიოზნი მიწაზე წაქცეულს, მკვდარ ხეს მიესალმოს... ვინ მოსჭრა მუხა? გიჟმა თუ სოფელმა? სად იყო გალავნის მცველი, სად იყო სოფლის ხმა, როცა ხეს სჭრიდენ და ნაფოტი სცვიოდა?

მოჭკლეს ილია მარა-ცხაზე ჩასაფრებულმა ავაზაკებმა და სად იყო ერის ხმა, სად იყვნენ ის ჭირისუფალნი, რომლებმაც ცლოვის ზარი ჩამოჭკრეს?.. მაგრამ, ჩვენი სამშოცლო, დიდ ადამიანს სიცოცხლეში არ აფასებს, მეფურად კი ასაფლავებს.

«აქ არ ვის—დიდსა თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.» — ამგოებდა ილია და ასეთი სწორი დიაგნოზის მსხვერპლი გახდა თვით.

«და მოიმეცლინა მე კაცი დიდი,
მყინვარწმედ მდგომი მოხუცებული»... მოხუცი,—მგოსანის მწუხარე ოცნების და ფიქრის აჩრდილი, საქართველოს აწმყოს და წარსულის მემატიანე, დასცქეროდა ტანჯულ ქვეყანას და უმხელდა ერის გულშემატკივარს, თუ როგორ გარდაქმნილა მტკრად ძველი ახოვანი საქართველო და რა ღრმად ჩანერგილა მის შვილთა გულში ლალვა, შური და მტრობა... მუხლებზე დაეშვა მგოსანი აჩრდილის წინ; ცრემლ მორეული უსმენდა მსურვალე ლოცვას და... «მახარობლად ტკბილ იმედისა», მვიდ-ფეროვანი ცისარტყელა გადმოეფინა ქვეყანას. ჩვენ კი არ მოუსმინდ მოხუცს, იმის სიტყვებში მხოლოდ სიძულვილი დავინახეთ, რათა არ მალავდა ჩვენს ცუდს და ვერ მიუხვდით, — «ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!»

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საგურამოს ზეაზე ტყვიებმა დაიზუზუნეს და უკვე დროა დავიწყებას გადავცეთ ის ბრალდებანი, ვითომც ავაზაკებმა, ან რომელიმ ჯგუფმა მოკვიკლა დიდი ქართველი. ნამდვილ მამულიშვილისათვის ეხლა ამაზე ფიქრი სამარცხვინო და დამამცირებელი უნდა იყვეს. იქ დაქცეულ სიხსლში მთელს ერს უდგეს ბრალი.

ჩვენმა სიბეჩავემ, ჩვენმა შეუნეკლოებამ დაადუმა საქართველოს აჩრდილი — «მყინვარწმედ მდგომი მოხუცებული.»

მივიღოთ ჩვენს თავზე უდიდესი ღანაშაული და ავაშოროდ მომავალს ცოდვა.

***

«ჩემი ქვეყნის სიოემ დამეკრა, გულმა სხვა რიგად დამიწყო ფეთქა» — სწერდა ილია, როცა, ჯერ სულ ახალგაზრდა, უცხოეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. სადგურის ბინელ ოთახში შევიდა, წამოწვა ტახტზე და ფიქრებს მიეცა: —«როგორ შევეყრები ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყნას ახალს და რას მეტყვის იგი მე? შეიძლება კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოეფინოს, მტირალს ცრემლი მოეწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს და ის თვითოეული ნაბერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ღვიოდეს, ერთად შეიგროვოს? შეიძლები კი? შეიძლება გასაგონის სიტყვის თქმას?»

ჩვენი დაბრუნების დროც მოახლოებულია და როცა ბეთუმის ნავთსადგურს მიადგება და, უცხოეთის სუნსით გაყინულ ქართველთ, მზის სხივებით გამთბარ მიწაზე გადმოვეხსამს, აღიძრება თუ არა ჩვენს თავში მაგგვარი ფიქრნი? როცა შვეიის ცრემლები მოეკადგება თვალთ ჩვენი ქვეყნის დანახვით, დავივიწყეთ კი პირად ანგარიშეეს, შურს, მტრობას და ავინთეთ ერთსულოვნად მშობლიურ ცხცლით? ილიას საფლავს და მთელს საქართველოს შავ ძაძაში გახვეული დედა დახტირის და შვიძლეთ კი მტირალს ცრემლი მოეწმინდოთ?

დე, დიდ ქართველის მდუმარე სამარემ ჩააჩუმოს ჩვენში მაწიერი ზრახვანი და ჩაგვინერგოს ღრმად გულში,

«..... რომ ქვეყნად ცახა
ღვთად მოუცია მხოლოდ მამული».

ს. ბერეკიანი.

...მოჭმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.
(აჩრდილი) — ილია.

მარტივი საუგარი.

რით აიხნება, რომ სოციალისტები სადაც კი ჩაიგდებენ ძალა უფლებას ხელში სიკვდილით დასჯას არამც თუ არ სპობენ, არამედ აძლიერებენ. კერენსკი-წერეთლის სოციალისტურმა მთავრობამ და ჩვენი მენშევიკების მეერ მოხკოვში შექმნილმა «სოვეტებმა» სიკვდილით დასჯის მოსპოვა არც კი ფიქრობს; არც საქართველოს დამოუკიდებლობა

ცა, მთები და ილია.

როცა ჩვენ ცას მოვიგონებ,
ვფიქრობ: ღმერთმა დართო ნება
და აკაკის ორი თვალი
ვარსკვლავებად ხედ ენთება.

როცა ჩვენ მთებს გავიხსენებ,
ვამბობ: სიკვდილს ვინ გვიპირებს?
და ძმასავით ვფიცები
ვაჟას ლექსის უკვდავ გმირებს.

მაგრამ წამსვე, სვედის ლანდი
ტყვიასავით ზულს რად ხვდება?
ან ვის ვკითხო, ან ვინ მეტყვის
ილია თუ გაცოცხლდება?!

N. N.

ვენა

კის დროს მოსპეს იმავე მენშევიკებმა ხიკვდილით დასჯა და ჩაიგდებს თუ არა ხელში ძალა— უფლება, რუსის გაგლეშვიკმეულ ჯარის სამეალებით, მაშინვე ძველი ღენერალ-ბუკერნატორების როლში ჩადგნენ და განაგრძეს მათი ადმინისტრატიული სისტემა; იტალიაში გაბატონდნენ თუ არა სოციალისტები მაშინვე რევოლუციონური ტრიბუნალი ჩეკის ტიპისა მეჭქმნეს და ხვა მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, ჩრდილოეთ იტალიის ერთ ქალაქში რომელიღაც ქარხნის მთავარი ინჟინერი ცოცხლათ ცეცხლზე დასწვეს; ასევე მოიქცნენ ჭუნგრეთში და ყველგან სადაც კი გაბატონდენ ეს ეგრეთ წოდებული «კაცთ მოყვარე» ვაჟბატონები; რაც შეეხება ღღეანდელ სოციალისტურ რუსეთის მარქსისტულ მთავრობის მოქმედებას ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედ მეტია.

ფაშისტურ ქვეყნებში ვხედავთ წინააღმდეგ მოვლენას. იტალიაში სიკვდილით სასჯელი კრიმინალურ დანაშაულებისათვისაც კი არ არსებობს, და პოლიტიკურ დანაშაულებისთვის ხომ არა და არა. მუსოლინს ოთხჯერ დაუპირეს მოკვლა ბოლშევიკების და სოციალისტების ტერორისტებმა, მაგრამ არც ერთი ამ ტერორისტთაგანი სიკვდილით არ დაუსჯიათ.

კერენსკისათვის რუსეთში, ან ჩვენში რომელიმე მინისტრისათვის რომ ეხოლა ვისმეს ხომ დახვრეტა არ ასცდებოდა! იტალიისავე მაგალითს ვხედავთ ფაშისტურ ისპანიაში და პორტუგალიაში.

ვიმეორებთ, რატომ არის ეს ასე? პასუხი ერთად ერთია. სოციალიზმ-მარქსიზმი ანტი ეროვნული მოვლენა და მისი დოგმა საკვებით ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ არასდროს და არც ერთ ქვეყანაში (თუ ქვეყანა გადაგვარების გზაზე არა სდგას) მათ ერი თავის ნებით და სურვილით არ გააგატონებს. მაშასადამე ისინი იძულებულნი არიან ძალით გაბატონდნენ. აი რატომ სისხლის მეკლემის წითელი დროშის ქვეშ, სიკვდილი და ტერორი პოულობენ მოქმედების უდიდეს ასპარეზს.

ფაშიზმი მარქსიზმის (ე. ი. სოციალიზმის და კომუნიზმის) საწინააღმდეგო მოვლენაა. ის არ გამოდის კლასიურ ბრძოლის მქადაგებლად, არამედ ერის საერთო ინტერესების დამცველი. აი რატომ ფაშიზმი არ საჭიროებს ტერორს სიკვდილით დასჯას. იგი ეყრდნობა ერს რომელიც მას მისდევს *IN CORPORE* და მხოლოდ ერში პოულობს თავის არსებობის უმთავრეს ძალას და გარანტიას.

***

როდესაც ქართველი სოციალისტები ლაპარაკობენ ან სწერენ მუსოლინზე, ფაშიზმზე, არა მკითხე მოამბესავით დემოკრატიის დამცველების როლს იღებენ თავზე და სასტიკათ ილაშქრებენ დღევანდელ იტალიის და მის ბელადის წინააღმდეგ. თუ სხვაფრივ არ ვარგანან, მოგვცათ სიცოცხლე, ეპიტეტების გამოგონებაში მარჯვენი არიან. «დესპოტიზმი »,»ხალხის დამჩაგვრელი», «დემოკრატიის მტერი» და სხვა ამგვარი სიტყვები უხვად სცვივათ პირიდან და კალმის წვეროდან.

ჰკითხეთ აზრი ამავე მუსოლინზე და ფაშიზმზე შვეიცარიელ მოქალაქეს. რა ფრენაც არ უნდა გეუთვნოდეს იგი დაახლოებით შემდეგ პასუხს მიიღებთ: «მუსოლინმა გადაარჩინა ევროპა ბოლშევიზმისაგან და ძაშასადამე კარბაროსობისაგან. ფაშიზმმა დაანახვა ევროპას, რომ თანამედროვე ხალხმეფეს ორგანიზაციის აპარატი დაძველდა; კონსტიტუციები ჩამორჩენ ცხოვრებას; პარლამენტი მოლაყბეთა და პარტიულ პოლიტიკანების ასპარეზათ გარდაიქცა და ხვა და ხვა; ყოველივე ეს თანდათან გარდაქმნის გადახალისებას, განახლებას. ფაშიზმი ეძებს ახალი ნიადაგი მეუქმნას, ახალ პრინციპებზე დაამყაროს. ამ დარგში კიდეც განსოცრიელა ბევრი რამ. ფაშიზმმა ამ მხრივ უდიდესი დადებითი როლი ითამაშა. საჭიროა შვეიცარიამ ისარგებლოს ფაშიზმის გაკვეთილებით და სხვა.

რატომ არის რომ ჩვენი სოციალისტები დემოკრატიის სახელით ეკრძვიან ფაშიზმს, მაშინ როდესაც თვითონ არასდროს და არსად დემოკრატიული წესწყობილება არ შეუქმნიათ. ორი მაგალითი საკმარისია: ჩვენში მათ შეჭქმნეს პარტიული დიქტატურა და მაუსერიან სატრაპების რეჟიმი და რუსეთში ბოლშევიზმი. შვეიცარიელები კი, რომელნიც ნამდვილი შემქმნელი არიან ჭეშმარიტი დემოკრატიის და მისი ღვიძლი შვილნი, დიდის სიმპატიით იხსენიებენ როგორც ფაშიზმს ისე მის ბელადს. პასუხი მარტივია. შვეიცარიელებს ესა თუ ის რეჟიმი თავის ქვეყნისათვის და მისი ინტერესებისათვის შეუქმნიათ და ამიტომ მზათაც არიან, თუ ერის ინტერესები მოითხოვს მის გარდაქმნას კიდეც გარდაქმნან. ჩვენ სოციალისტებს კი დემოკრატია სადემაგოგიო საშუალებათა აქვთ გადაქცეული. მათთვის დემოკრატია მხოლოდ გაბატონების საშუალებაა. როდესაც ფაშიზმი აშენებს ახალ სახელმწიფოს, სახელმწიფოს ერეკვნულს და ხალხის ინტერესების რეალურ დამცველს, ანგრევს ცხოვრების მავნე მოვლენათ გადაქცეულ დემოკრატიზმს, და მის დემაგოგთა კამარილას, ჩვენი სოციალისტები კარგათ ხედავენ, რომ მათთან ერთათ ინგრევა იმედი მათი ბატონობის და დიქტატურის, და ეს არის რომ მათ სიგრაზის დოზებლეესა ჭეშრის პირზე.

წინათ ჩვენი სოც. დემოკრატები სალანძღავ სიტყვათ «პატრიოტიზმს» და «პატრიოტს» ხმარობდენ. მას შემდეგ რაც ისინი თავის უმცროს ძმებმა ბოლშევიკებმა ძალით გაასეპარატისტეს, იძულებულნი გახდნენ, დროებით, (მეორე და მესამე ინტერნაციონალის შეერთებამდე) პატრიოტის ქურქი წამოეხსათ და ეხლა სალანძღავათ და სადემაგოგიოთ სიტყვა ფაშისტი აირჩიეს. ვინც კი სოციალისტი, ან სოც. დემოკრატების მოწინააღმდეგე ნათლავენ. უკიდურეს ფაშისტებათ ხომ თეთრი გიორგლები გამოეყავთ. მაგრამ თუ ჩვენ უპასუხეთ სოც. დემ. რომ მათი საქციელი არის ცილის წამება და სადემაგოგიო მანერა იმიტომ კი არა, რომ სახელოდებენ ფაშისტი სალანძღავათ მიგვაჩნდეს, პირიქით, იგი ყველა ფაშისტისათვის საამაყო არის, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ფაშისტები არა ვართ. თეთრი გიორგის ღირსება და ძალა იმაშია, რომ ის თავის იდეოლოგიას და პოლიტიკას მხოლოდ საქართველოს სინამდვილეზე ამყარებს; რომ ის პირველი დადგა წმინდა ეროვნულ გზაზე და სავსებით განთავისუფლებულია უცხო გავლენისაგან. ჩვენ ჩვენი აზროვნება არც მოხეოვიდან მოგვიტანია და არც სხვაგნიდან მოვიტანთ. სოლო როდესაც ჩვენ ვეხებით მსოფლიო პოლიტიკურ და სოციალურ მემოქმედებას, ცუდს კარგიდან ვარჩევთ და ვამბობთ: მარქსიზმმა სახოგადოება ბოლშევიზმამდის მიიყვანა, რამდენიმე ქვეყანა უკვე დაანგრია და გააბარგარეზა ევროპასაც დააქცევდა დიდი ხნით, რომ იგი ფაშიზმს არ გადაეჩინა. და ეს ჩვენ მიერ კარგის და ავის, კულტურის და გარგარეზების ერთმანეთისაგან გაჩენა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ფაშისტები ვიყოთ. მაგრამ ჩვენ სოც დემ-ს დემაგოგიას ვინ მოაშლევინებს? ტყუილად კი არ დაუწერა მათ ერთხელ ი. ჭავჭავაძემ: «არ გათეთრდების ყოვანი, რაც ბინდა ხეხ ქვიშითა-ო»

ლ. კერესელიძე.

...ხახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა პაპური ხელი, გული მოჭმადლე შვილსა.
(აჩრდილი) –ილია.

დღეს, 10 დეკემბერს სტუდენტთა კავშირი მართავს

ილიას საღამოს

დარბაზი 61, rue Madame. დასაწყისი საღ 8 1/2 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღენერალი ალექსანდრე გრისთავი.
(სამხედრო ფურცლის რედაქტორი.)

***

მრავალჯერ განუცდია მტრის შემოსვა ქართველ ერს. დამპყრობელნი იკლებდენ ცეცხლითა და მახვილით ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს. მათ ხისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. მიჰქონდათ უამრავი ხიმდიდრე, მიჰყავდათ მძევლეთ საუკეთესო მამულიშვილნი. ქვეყანა უდაბნოს ემსგავსებოდა. სწვავდენ და აოხრებდენ ქალაქებს და სოფლებს. ოდეხღაც თვალწარმტაც ველ-მინდვრებს შავი კვამლი ჰფარავდა ვით საუკლოვიარო სუდარა. ბაშინელი სიცალიერე სუფევდა ირგვლივ. ყანები დაუმუშავებელი, ბაღები დალეწილი და მივიწყებული; სიცოცხლის ნიშანი ბარად ხრანდა. ვინც აწიოკებას გადურჩა, ვისაც მოძრაობა და იარაღის ტარება შეეძლო, იხიზნებოდენ მთებში სამშობლოს შავი ბედით დაძეურებულნი. მხოლოდ ბრძოლის გაგრძელების სურვილი აიძულებდა მათ მიეტოვებინათ სახლ-კარი და არა მიში დამძონავებელთა წინაშე. ისინი ელოდენ ხელსაყრელ პირობებს ბრძოლის გასაჩაღებლად სამშობლოდან მტრის ასალაგმავათ. მაგრამ ეს პირობები იშვიათად იქმნებოდა. ხშირად მეტად სანგრძლივი ცდა იყო საჭირო. ფიზიკურად დაუძლურებულნი უბრუნდებოდენ თავის სახლკარს და ძალდატანებით ურიგდებოდენ მშობელი ერის უბედურებას. მაგრამ ყველას აცოცხლებდა ერთი აზრი, ერთი იმედი, ერთი იდეა, ეს იყო უცხო უღლის გადაგდება და თავისუფლების მოპოვება.

მრავალ რიცხოვანი იყო მტრის ჯარი და ამაში მდგომარეობდა მისი სიძლიერე. ეს ნაწილობრივ არყევდა თავის-თავის რწმენას ჩვენს ერში, მაგრამ იმედს ის არასდროს არ ჰკარგავდა. ფიზიკურად ქვეყანა ჩქარის ტემპით სდებოდა ფეხზე. ახალი თაობა სამშობლოს განმანთავისუფლებელთა მებრძოლ რიგებს ავსებდა, მხოლოდ საჭირო იყო ახალგაზრდობის სამშობლოს სიყვარულით განმსჭვალვა, მასში ეროვნული ცეცხლის გაღვივება, თავდადების და თავგანწირვის იდეის ჩანერგვა.

განვითარებარაინდული სულის და თავდადებითი ადმაჯრენის—ეს არის მოვალეობის შეგნების უმაღლესი გამოხატვა.

ბოროტულ ბმირთა კულტი უწინ ძლიერი იყო. ქართველი დედა ღირსეულ მეომართ ზრდიდა, ჯერ ისევ აგვანში უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს სახალხო ბმირთა ცხოვრების ბრძოლების დამღერებით. ეკლესიებშიაც წირვის დროს ს.ძღვდელოება ისსენიებდა ქართველ წმინდანთა ცხოვრებას, რომელნიც სისარულით და პირზე ღიმილით ხვდებოდენ სიკვდილს ქრისტესა და სამშობლოსათვის.

ზამთრის ბუსართან ჩამოსხდებოდენ მოხუცნი და იგონებდნენ სახელოვან ბრძოლებს, რომელშიაც თვით მიუღიათ მონაწილეობა. იგონებდენ მებრძოლთ, დაღუპულთ სამშობლოსათვის.

ბრძა მეფანდურე შემოვლიდა მთელ ს. ართველოს მთებიდან ბარში, ქალაქიდან სოფლებში მიჰქონდა ამგები —მშვენიერ სასასლეკში —ღარიბ ბლებთა ქოხში, მას აღტაცებით იღებდენ, გულწრფელ სტუმართმოყვარეობას უწევდენ. ის იყო ქვეყნის ჭირვარამის მესაიდუმლე. მისი ფანდური მოუთხრობდა ქართველი ჯარის ძლევამოსილ ბრძოლებს, სადაც საუკეთესო მამულიშვილთ უსწორო ბრძოლაში თავი საშშობლოს დიდებისათვის შეუწირავთ, სახელოვან წინაპართა ანდერძი დაუცავთ. მათ გმირულ ამხედრებას მტერიც კი აღნიშნავდა აღტაცებით და პატივისცემით. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ეროვნულ სულის გაძლიერებას, წარსულის მოგონება ქმნიდა იმედს მომავალისადმი; იღვიძებდა შურის ძიების გრძნობა, ახალ თაობაში ვითარდებოდა ეროვნული სიამაყე, რაინდული გატაცება.

მშობელთა სიკვირე და ძლევამოსილება —ეს მემკვიდრეთა საუკეთესო დანდერძებია.

ყველაფერი წარმავალია, უკვდავია მხოლოდ ძლევამოსილება. სწორედ ძლევამოსილ და მტკიცე სულის სამუალებით შეხძლო ქართველ ერმა დღემდის მოეღწია და თავისი ეროვნული სახე, ენა და ზნეჩვეულება შეენახა და დაეცვა.

***

მოცე საუკუნის გარიჟრაჟს, განათლების და ჰუმანიზმის ხანაში, ისე ვით ძველად, აინთო აღმოხავლეთი სისხლის ცეცხლებით და კვლავ შემოიჭრა მტერი ჩვენს მიწა წყალზე. ბრწყინვალეთ იბრძოდნენ ახალგაზრდა იუნკრები —სიმბოლო აღორძინებულ საქართველოსი.— ვითა ლომხი ეკვეთნენ მტერს და თავიანთ მამაცობით ახახელეს წინაპართ დიდება, მაგრამ არ ეღირსად დატბობა გამარჯვების ზეიმით. კრწანისის ველზე, სადაც მეფე ერეკლეს მეომარნი იბრძოდნენ თავგანწირვით ალა მახმად-ხანის წინააღმდეგ, ოდა ხუთმეტმა იუნკერმა თავისი სისხლით აღეგეხდეს უსაზღვრო სიყვარული სამშობლისადმი და ჩვენ კი, ჩვენ, მათი სახელიც არ ვიცით.

კვლავ დაიპყრეს საქართველო და რეჯეფრ წინად, ისე ეხლაც შეეხიზნენ მთას რჩეულნი. არა ერთხელ ეკემია მტერს და სამშობლოს მოღალატეთ მათი სასიკვდილო ლახვარი. მრავალი მათგანი ღიმილით სტოვებდა სიცოცხლეს ბრძოლის ველზე; თან მიჰქონდათ რწმენა, რომ დანთხეული სისხლი მეღებავს და გააცოცხლებს ძველს, მაგრამ ეუდამ ნოხრ გვირგვინს წარსულ საუკუნეთა.

კვლავ სდგება მეთქმულთა ჯეუფები, კვლავ ძებნაა განმათავისუფლებელ საუალებათა, მაგრამ მოდალატე აღმოჩნდა და საუკეთესო მამულიშვილნი დაიხოცნენ; ამაყად შეხვდნენ სიკვდილს. დაგვიტოვეს ანდერძი, სისხლით დაწერილი, განვაგრძოთ ის საქმე, რომელსაც ისინი შეეწირნენ. მათ დაგვიტოვეს მშვენიერი განძი; ჩვენ უნდა მივიგნოთ იმის სიდიადე და გადავსცეთ მომავალ თაობას. ჩვენ, მწუხარე და სისხლიანი წლების მოწმეთ, ვალად გვადგეს აღვადგინოთ იმ დაღუპულ მამულიშვილთა [illegible], რომელნიც დაეცნენ ბრძოლის ველზე, ან იქმნენ განაწამები ჩეკის ბნელ სარდაფებში.

ჩვენ ისტორიკოსთა და მწერალთა მოვალეობაა შეგრეკა და დამუშავება ყველა იმ მასალების, რომლებიც მეუთვნის დაზოგილ მამულიშვილთა ხსოვნას.

დე, მათმა შემოქმედებამ აღმართოს ყოველი ქართველის გულში ეროვნული ძლევამოსილების და დიდების ძეგლი, ადიდოს ხსოვნა იმ გმირთა, რომლებმაც მორწყეს სისხლით სამშობლოს მიწა-წყალი.

ა. გრისთავი.

ქართველ იუნკრების მიერ ტაგანრმელა—კოჯორის მიდამოებში გადახდილ ბრძოლების ერთი ეპიზოდი.

ტაგანრმელა—კოჯორის უკანასკნელი დღეები.

კოჯორ—ტაგანრმელას უკანასკნელი ცივი და კურუსიანი დღეები ნათლად აღიგეჭდენ ჩემს მეხსიერებაში.... ღილაა... მიწაზე დაშვებული ნასლი არ გვაძლევდა საუალებას ხუთი ფეხის ნაბიჯზე გაგვრჩია ჩვენი ამხანაგები. ხუსხი ყინვა ძვლებამდე ატანდა. გაყინული, ნერვიული ხელები მაგრათ ჩაგვეჭიდა თოფისათვის და მოვემზადით მეხუთე ტალღას. «რუს კურსანტების აღმოსავლეთის ბრიგადის» ოფიცერ. იმ უსწორო შეტაკებებით, რომელიც ჩვენ გადავიხადეთ, კარგად გვქონდა მეხსავლილი და გაეცალისწინებული ერთიერთის ძალა. დრო გამოვეებით ჩვენ და მოწინააღმდეგენი ლანძღვა-გინებით ვიხსენი ბდით ერთმანეთს და მეუწოდებოდით ეამის მყუდროებაში დაგვნებებოდენ, მაგრამ მსურველნი არც ერთს მხრიდან არ ს ანდნენ.

ჩემს მარჯვნივ მწკრივში იწვა ვსია ჯანდიერი, რომელიც ღრმა ფიქრებს მისცემოდა. მარცხნივ ზურაგ ტატიშვილი, ის ოხ ენჯოდა და მახვილოდა ჩვენს მიერ გადახდილ ბრძოლებზე, რუსის კურსანტების იერიშებზე, ამ მეტად საჭიროოროტო თემაზე, რადგან ბუზღუნებდა ვალიკო ჯეოველის თეატრალურ ყვსტების შესახებ, რომელმაც ამას წინეთ დაიარა ფრონტის წინა რიგები და მოკლე სიტყვით ქება შეასხა იუნკრების და მათი მასწავლებლების სიმტკიცე—კამეზლოებას, რადგან აღზარდენ ჩვენში ის გმირული სული, რომელიც სწორედ საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის. მე ხიტით ვხსნიდი კონსერვს, რათა ამ თავისუფალ წუთში, მყუდროებაში, დამეკმაყოფილებია კეჩის მოთხოვნილება. რადაც იდუმალოებას მოეცვა არე-მარე, ყველა ბრძოდით თანყოფას წინა ქარიშხლის მოლოდინში... ბოლოს ისევ მე დავარღვიე მყუდროება; ჯანდიერო, გესმის?..მივმართე მე ჩემს ბედერდით მყოფს ამხანაგს; რამდენი კაცი გადავრჩით მთლათ ჩვენ? მცირე ხიჩუმის შემდეგ მან მოწყვეტით მიპასუხა: ეს კაცი. ოხ! ოხ!.. ნაღვლიანად წამოვიძახე მე. თუ ასე გაგრძელდა, ალბად სამ-ოთხ იერიშის შემდეგ, დავრჩებით ერთი, ერთ ნაკლები ... რა დაგემათა, რატომ ასე ღრმად ჩაფიქრებულხარ? შეეკითხე მას. – არაფერია... არ ვიცი... რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი

ჯერიც მოვიდა.. დამაჯერებელი კილოთი მოსწყდა მის პირს ეს სიტყვები, შემდეგ ისევ დამუწა ტუჩები, რომელიც სიცივისაგან მთლად უძაგძაგებდა. მიმოიხედა გარშემო თავის ცოცხალი და ანთებულ თვალებით, რომელშიაც მოსჩანდა ურყევი რწმენა და ცეცხლიანი გამოემეტყველება, სავსე აღტაცებით და იდეისადმი ასალგაზრდული გატაცებით. შემდეგ მისთვის ჩვეულ ტონით მომმართა: სანა, გესმის?.. მე დღეს ვგრძნობ რაღაც უცნაურ სევდას, რომელიც ლოდივით მამძიმებს, უკვეთ რომ ვსთქვა, მაქვს სიკვდილის წინათგრძნობა. გაჭირნია მენ ოდესმე ასეთი განცდა?.. მე უარ ყოფითად უპასუხე, რადგან ასეთ შემთხვევაში მე მირჩევნია ვიყვე ფატალისტი. არ ვიცი, წარმოსთქვა მან, მაგრამ ყველა იმ განვლილ სისხლიან დღეების დროს მე არაფერი ამგვარი არ განმიცდია. დღეს მე უეჭველად მომკლავენ. ჩუმად მოცოცდა ჩემთან, თითქოს რცხვენოდა სხვას არ გაგონა და ყურში ჩამჩურჩულა: თუშენ გადარჩი ცოცხალი შეიძლება ნახო დედა ჩემი და პატარა ძმა, უთხარი რომ დავეცი კრძოლის ველზე, როგორც ერთგული შვილი ჩემი ქვეყნის. მომსხენი ეს ჯვარი და ეადაეცი დედა ჩემს, რომ ჩამოჭიდოს პატარა ძმას.. დეე! ეს იყოს მისთვის მომავლის სიმბოლოდ..- დაჩუმდა, ეტყოდა ნერვიულად სუნთქავდა, მაგრამ ჩამომართვა ხელი და ისევ გაცოცდა თავის ადგილზე. ნუ მიეცემი მწარე განცდებს ძმა, მოიმოქმედ თავიდან მწუხარება.. მიაძახა მას ხუმრობის კილოთი ხურაგ ტატიშვილმა; რა შეიძლება იყოს უფრო სპეტაკი და ლამაზი ასალგაზრდულ სიკვდილზე ამ მთებში საქართველოს თავისუფლებისათვის! დავიზოგოთ ყველანი აქ, მაგრამ მტერს არ დაუთმოთ არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყლის ვიდრე ერთი ჩვენთაგანი მაინც იქნება ცოცხალი სამაგიეროდ ამით ჩვენ მივცემთ მაგალითს მომავალ თაობას და ისტორიის წინაშეც ვიქნებით მართალნი. ამ სიმაღლეებს კი, რომელიც შეღებილია ჩვენი ამხანაგების ნეტრ სისხლით, ეწოდოთ «პირველ იუნკერთა მთები.» «ჩუმად! ჩუმად! ნუ სმაურობთ მანდ' მოგვაძახა ღიმილით, მაგრამ სერიოზული ტონით უფროსმა იუნკერმა ამირეჯიბმა. წამოჩოქილი ცალ-ფეხზე გაფაციცებით მიხჩერებოდნ, ნისლში გახვეულ ენგელ ლანდებს... უცებ შეკრთა, მაგრამ მისთვის ჩვეულ სიმშვიდით და სიდინჯით ამცნო ჩოჩუას რომელიც ძლივს გადურჩა გადახდილ კრძოლებს, რომ მარ ცხენა ფრთიდან უხმოდ ჩვენსკენ მოიმართებოდენ რუსის »კურსანტები». ისინი მეტად ხელოვნურად, თოფის გაესროლად, სქელ ნისლს თავშეფარებული შემოჭრილიყვნენ გასავალში, რომელიც ენა ღამით დასტოვეს უდისციპლინო ბ ა ბ ი ლ ა ნ ი. გაურკვეველ მომავლის მოლოდინში ჩვენ მთლად დაკვეჭიმა ნერვები. მორიდან ენელი სიდუმტები უამრავი მასების, როგორც უხარმაზარი თეთრი ფათვი, საზარლად, თოფ გაუსროლლად გვიახლოვდებოდნ ჩვენ «მომზადეთ!..» მოისმა მშვიდი და მტკიცე ხმა კაპიტან ჩოჩუასი. «ზდექ!». ჩვენ როგორც ერთი ფეხზე წამოვიმალეთ.« მარჯვენა მხარი წინ გიჯეგით იარ!.. » სწრაფად კავშალეთ ფრონტი მტრის დასახვედრად, ცალი ფეხით წაგიჩოქეთ და ვდილოდით რაც შეიძლება უკეთ მოვწყოლილიყავით ჩვენს ადგილებზე. თოფები მოვამზადეთ სახროლად. ზარგაზნის ყუმბარები აჩენდნენ ცეცხლს ან მარჯვნივ, ან მარცხნივ და ამ ცეცხლის წვიმებმა გაამლიერა რუსის «კურსანტების» იერიშები. მიწაზე დაშვებულ ნისლში უკვე ამკარად მოსჩანდნენ მოწინააღმდეგის წინა კოლონები დ ეფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ. გარკვეულად გვესმოდა მტრის ხმეტების და ლითონის პატარა ქვაბების შემთხვევითი რახუნი. როგორც უსულო აჩრდილები ჩვენ გავშემდით ერთ ადგილზე მათ მოლოდინში. მაგრამ რათ ეღირდა თვითეული ჩვენთაგანს ეს იდუმალი წუთები? ეცემ სულ ახლოს მოისმა ხმა კურსანტთა ოფიცერის, რომელიც გაეიშვლებულ ხმალს ჰაერში აპრიალებდა.. «ამხანაგო იუნკრებო, დაკვნებდით!» «ცეცხლი!» გაისმა მკვეთრი ხმა ჩოჩუასი, რომელიც დაფარა თოფებიდან და ტყვიის მფრქვეველებიდან მიღებულმა ცეცხლმა. შემდეგ ის მიუბრუნდა უფროს იუნკერს ამირეჯიბს და ეკადასცა; «უნდა დავიკავოთ გასავლები საჩქაროდ, თორემ მერმე გვიანლა იქნება. წადით მარცხენა ფრთით და ელოდეთ ჩემს განკარგულებას». მოწინააღმდეგის კოლონების მასები ეცემ შეჩერდა და გვიპასუხა აპნეული, მაგრამ საერთო თოფის ხროლით და შემდეგ სწრაფად გაქალეს ფრონტი და ურაა! ურაა!-ს ყვირილით გამოექანენ ჩვენს მიერ დაჭერილ მთის კალთებისაკენ. მეწყვიტეთ ხროლა.. ხმამაღლა დაიყვირა კაპიტანმა ჩოჩუამ და წამოდგა რა სავსებით ფეხზე მოგვაპყრო ცეცხლის მფრქვეველი, ერმა რწმენის გამომხატველი თვალები, ჩვენ ყველას გადაგვხედა და სწრაფად და მტკიცე კილოთი ბრძანა: «კონტრ-იერიში»... ჩემი ძვირფასი მეგრძელი იუნკრებო... ვისაც უყვარს სამშობლო და თავი ხალხი, ძმყოთ მე კონტრ-იერიშებზე... ეშიშვლა ხმალი და რეგულეერით ხელში შურდულივით გაქანა წინ მტრისაკენ... მე ინსტიქტიურად მივიხედე ეხია ჯანდერისაკენ. ის ნერვიულად სუნთქავდა და მკერდი მტრისაკენ მიეშვირა... ჩვენ ყველანი როგორც ერთი ანთებული ხანმეტით, აღფრთოვანებული, თავდავიწყებით, ხმრებზე თოფებ მიყრდნობილი გავქანენ წინ.. გაისმა საერთო ყიჟინა: «ვაშაა!.. გაუძარჯეს ჩვენ სამშოელეს!.. ხმირი შეუწყვეტელი წვიმა ვიზასაგით მოძავალი მტრის მიერ გასროლილი ტყვიებისა ჰქმნიდა სიკვდილის, ჯოჯოხეთის კუმბარ. ზარგაზნის ყუმბარები ელმჯდა ეაყინულ დედამიწის ზედაპირს... სქელი ნისლი გაიფანტა და მზის სხივები მოფინა მიდამოებს, თითქოს სურდა, რომ დაენახა ეს ეულ-შემზარავი ხისხლიანი სურათი.. ურაა.. ურაა... გაისმა ყრუ ძახილი მტრის რამოდენიმე ათასი კაცის, რომელიც ეჩქარებელივ, თითქოს ყოყმანით მოიწევდა ჩვენსკენ.

ა. ხიმშიაშვილი.

(გაგრძელება შემდეგში.)

ინჟინერი მ. ქართველიშვილი ამერიკაში.

საჰაერო მიმოსვლის ყოველკვირეულ ფრანგულ ჟურნალში (331), მოთავსებულია წერილი, რომელიც შეეხება ჩვენს მგზავარს და თანამემამულეს ინჟინერ ქართველიშვილს.—

ამერიკის ცნობილმა კაპიტალისტმა ბ. ლევინმა, რომელმაც გასულ ზაფხულს გადმოიფრინა ატლანტიის ოკეანე ნიუიორკიდან — ბერლინში, მეორეპაში მგზავრობის შემდეგ დაბრუნდა რა, თავის სამშობლოდ ამერიკაში, თან წაიყვანა ორი ინჟინერი: ფრანგი შანარდი და მ. ქართველიშვილი. ამათმა ამერიკელ ლევინის პარიზში ყოფნის დროს წარუდგინეს მას მეცნიერულად დამუშავებული გეგმა გიგანტური ავიონის. ბ. ლევინი ძლიერ დაინტერესდა ამ მეტად შესანიშნავ პროექტით, განიხილა ის და გადასცა ექსპერტთა კომისიას დასკვნისათვის. კომისიამ დაადასტურა, რომ ქართველიშვილის ავიონი მეტად მნიშვნელოვანი გამოგონებაა და უდიდესი მოვლენა ავიაციის განვითარების საქმეში. ბ. ლევინმა მისცა წინადადება სხვენებულ პირთ გამგზავრებულიყვნენ მასთან ერთად ამერიკაში თავიანთი გეგმის განსახორციელებლად. ქართველიშვილი და შანარდი დასთანხმდნენ და ეგმი „აკვიტანია" — თი გამგზავრენ ა. წ ოქტომბერს ამერიკაში. ჩავიდა რა ნიუიორკში ბ. ლევინმა დაარსა საზოგადოება: „ Columbia Aircraft corporation " — ი 100 მილიონ ფრ. კაპიტალით. ამ საზოგადოების მიზანია მოაწყოს რეგულიარული მიმოსვლა ევროპა—ამერიკის შორის ქართველიშვილ-შანარდის ავიონის საშვალებით. განხრახული ავიონი წარმოადგენს უმაღლეს გამძლეობის მქონე მთლიანად ფოლადისაგან გაკეთებულ მონოპლანს, ფრთების 90 მეტრის სიგრძით, 43 ტონის ზიმძიმით, 7 მოტორით და 800 ცხენის ძალით. ინჟინერ ქართველიშვილის გამოანგარიშებით, ამ ავიონს ექნება სისწრაფე 220 კილომეტრი საათში და შეეძლება დაიტიოს 50 მგზავრი თავის ბარგით. მგზავრობის ფასი აღნიშნულ ავიონით შეიძლება არ აღემატებოდეს გემის პირველი კლასის ბილეთის ფასს.

ფრანგული ჟურნალი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ასეთი დიდი გამომგონებლით საფრანგეთმა ვერ ისარგებლა და მისი დაუფასებელი პროექტი ხელიდან გადა ამერიკაში. ის დასძენს, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში კაპიტალის სიჭარბეს ამერიკაში და ბ. ლევინის ამ საქმით უშუალოდ დინტერესებას, განხრახული ავიონის ამენება უნრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

თ.ბ.რედაქცია თავის მხრივ ესალმება მშობელ ქვეყანას დროებით მოწყვეტილ სასიქადულო თანამემამულეს ბ.მ. ქართველიშვილს, გამოსთქვამს წარმენას, რომ ის შესძლებს კეთილად დააგვირგვინოს დაწყებული საქმე თავის ქვეყნის სასარგებლოდ და ძეთ შეიქმნეს მისაბაძი მაგალითი ჩვენი ქართველი ახალგაზრდობისათვის.—

სუვერენობას მოკლებულ ერთა ლიგა.

მუშაობის მეთოდის საკითხი უმთავრესია საზოგადო მოღვაწეთათვის. დიდი ხანია რაც დაბადა ბ. ლეო კერესელიძეს აზრი «სუვერენობას მოკლებულ ერთა ლიგის» შესახებ. თუ ჯერ ეს აზრი მთლად განხორციელებული არ არის, მაინც უკვე დაარსდა საინიციატივო კომიტეტი, რომელიც დროებით მოთავსებულია დიდ ფრანგულ ჟურნალ: „ La Revue Mondiale "—ის რედაქციაში. თვით დირექტორ—რედაქტორი ბ. Louis-Jean Finot შემდეგი მოწოდებით მიმართავს თავის მკითხველთ:

„მკითხველნი იცნობენ ჩვენი ჟურნალის თანაგრძნობას ხალხთა ლიგისადმი, რომლის მეშაობა უკვე ნაყოფიერია, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის დასრულებულ სახის მიღებისაგან და ბევრში მწუხარებას იწვევს, რომ ზოგი პატარა დამოუკიდებელი ერნი არ არიან იქ წარდგენილნი. რატომ მათ მხოლოდ სიჩუმის უფლება აქვთ? ესამართლოებაა ასეთი ეუფრადღებობა. საჭიროა მათი შეგეფება ძლიერ ლიგაში, რომელსაც შეუძლია ხმა შეუწყოს ამ მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტაში. ეს მშვენიერი იდეა ნიჭიერად განავითარა ბ. ლეო კერესელიძემ, ერმა ქართველმა პატრიოტმა, ღირსეულმა ღვაწლალმა და საერთაშორისო უფლებების დიდმა მცოდნემ. ის ყოფილი პრივადოცენტია ჟენევის უნივერსიტეტის; კარგათ იცნობს აღმოსავლეთის ერთა საკითხებს. ჩვენ ესურვებთ, რომ მის მეშაობას გამოეღოს სასურველი ნაყოფი, როგორც დამონებულ ერთა ისე მსოფლიოს საერთოდ".

ეს მოწოდება წინუძღვის მოწინავედ ამავე ჟურნალში დაბეჭდილ ბ. ლეო კერესელიძეს წერილს.

ბ. კერესელიძე ანვითარებს და მრავალ მაგალითებით ამტკიცებს იმ აზრს, რომ დამონებულ ერთა არსებობა არის ომების ხშირი მიზეზი. პოლიტიკური უფლების მქონე ერნი შეკავშირებულნი არიან ხალხთა ლიგაში, რომლის მიზანია მშვიდოებიანობის დამყარება; მისი [illegible] ლი ხდება, ვინაიდან ხუვერენობას [illegible] სრულია არ არიან მაკავშირებულნი და [illegible] ოფიციალურ პოლიტიკაში. რომ [illegible] ხალხთა ლიგის მიზნის დაახლოებით მიღწევა, აუტორი საჭიროდ სცნობს დაარსდეს სუვერენობას მოკლებულ ერთა ლიგა, რომელიც დაიკავებს თავის წევრთა ინტერესებს, ამავე დროს დიდ სამსახურს გაუწევს მსოფლიო ცივილიზაციას კომუნისტურ დემაგოგიური პროპაგანდის მეხუტებით, რომელსაც დიდი ნიადაგი აქვს უკმაყოფილო და დამონებულ ერებში.

ირაკლი ორბელიანი.

პლეიბლის ახლად აგებულ მენობაში, ქართველ პიანისტის მიერ გამართულ კონცერტმა, დიდ ძალი მსმენელი მიიზიდა. აქ მოისმენდით ფრანგულ, ინგლისურ, ესპანიურ და ქართულ საუბარს.

დღით კონცერტის ჩატარება მეტად სახიფათო, რათა მუსიკას და მის მოტრფიალეთ საღამოს ბინდი და დუმილი ეყვართ; მაგრამ ნოემბრის დღე პარიზისათვის ჩვეულ კეურუსში იყო განვეული და, როცა ესტრადაზე ახალგაზრდა, მაღალი, გამხდარი და ოდნავ აღელვებული პიანისტი გამოჩნდა, და მოპვნის ნაზ და მყუდრო დარეკაზში ელექტროთი გაჩაღებული თაღი ჩაქრა, საღამოს ხრული ილიუზია შეიქმნა.

ირაკლი ორბელიანი ბევრჯელ მოგვისმენია და ასეთი აზრი გვქონდა მასზე: დიდი ტენიკა და ფიქრი; მისი შინაგანი „მე" სრულიად დაუმორჩილებია და გადაეცია კლავიშებზე მარდათ მოსიარულე თითებისათვის თავისი სული. ისეთი სიფაქიზე, სინაზე და სიწმინდე მოისმოდა მოპვნის ორ პატარა ეტიუდებში, მეტადრე პირველი ისე მკრძნოვიერად იყო შესრულებული, რომ უნდა მიულოცოთ დიდი გამარჯვება ჩვენს პიანისტს.

დამთავრდა პროგრამა და პიანისტის დასასვენებელ კარებთან კრძელი კუდი გაიმართა.

მოთა რუსთველის საღამო.

თეთრი ციურის დაუზოგავ ინიციატივამ 15 ოქტომბერს გამართა მოთა რუსთველის ძვირფას ხანის სადარ ბაზე საღამო. იმ კრებაინვალე საუკუნის სავსე პოემიდან ჩვენს ქმდმაღალ ქართველთ ცხოვრებას გვლება დიდება, აღსავსე მრავნულ კულტურით და საიმვიათო ძლევამოსილებით.

ეს «ოქროს ხანაა» მისული ათოგ'ბდის, ქართველ ერის მდიდარ ადორძინების— რამაც შეადგენა ღრმა სიყვარულით შექმნილი საიდუმალოთ სამშობლოს მადიდებელი კრძნობა. რუსთველი უკვდავი ძეგლია ერთიან საუკუნის, სადაც ხდებოდა ჩვენი ენია ეროვნული.

თეთრი ციურის ვალდა აქვს ეროვნულ კულტის შექმნა და მის ძალთა ამოძახილის რასიულ თვისებების შენახვა. თეთრი ციური, ეს იქნება ერის მთელი მისი წარსულის და მოძავლის შემოქმედება ერთად, წმინ და იდეის სამშობლოს სადიდებლად. დიადაც რომ შეხედეს ღირსეულად იზეიმოს ჩვენი ენიის მანათობელი ბოქის ბული, მოთა რუსთველი.

ჩვენი საღამო იმხრობდა ყველა მათ ვისაც კიდევ შერჩენოდა ეთილშობილება მამულიშვილურ ზრახვების

მრავალი ქართველება დაესწრო ამ საღამოს, სადაც თეთრი ციურები რთავდა ვიერვენის მოთა რუსთველის უქრობელ ლამპარზე. გაიხსნა საღამო ეროვნულ ჰიმნით. რის შემდეგ კოლეგიალ ფრ. წულუკიძე მოუწოდებს ქართველ სახოგადოებას მხედრულ თავგანწირულ პატრიოტიზმით კაცერმავონ მამულიშვილური კრძნობა უკვდავ იდეალის.

თ. ბ. მთავარი მდივანი ა. ლეო კერესელიძე აღნიშნავს მოთა რუსთველის მნიშვნელობას.

ერის მთლიანი შემოქმედება კულტურის დონიდან მაღლა იწევს, თუ ნაციონალური ენია მას ჰბადებს როგორც მასიურ მოხუმენტს, რომელსაც ვერ შეარხევს ქარიშხლიანი ქანაობა უეხო გავლენის.

ჩვენ თეთრ ციურელნი დარჯათ უდგევართ საქართველოს წმინდა ეროვნულ ნიადაგით და ვემზადებით სახიკვ დილ ლაზვარით რუსეთის ველურობის შესამუხრად. ხმირ ტაშმა დაეფარა ბ. კერესელიძეს მეორეროვიერ სიტყვა.

ბ. ლეო კერესელიძის ნაწარმოებიდან წარმოდგენილ იქმნა «თამარის და რუსთველის სიყვარული». თამარის როლში გაზლდათ ლამაზი და მოზდენილი ელისო დადიანი. მოთას ასახიერებდა ს. ბერეჟიანი.

ცნობილმა მომღერალმა ბ. ნანოგაშვილმა შეასრულა თავის საუკეთესო სიმღერები ქართულ-იტალიანურზე.

მეთარემ ძველი ქართული სიმღერა მოგვასმინა.

საღამოს დასასრულს გაიმართა ცქვიტი ლეკური. სხვა მოცეკვავეთა მორის ხაზოგადოების დიდი ყურადღება მიეპყრო ბ.ევ. ანთაძემ. ხაზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

RÉDACTION : THETHRI GUIORGUI
19, Rue Roger,, 19 — PARIS (14e)

Imprimerie P. et A. DAVY, 52, rue Madame, Paris (6e)

Le Gérant : Félix Kaldenbach